21 მაისი , 2018 წ.

მოწვევა ტენდერში მონაწილეობის შესახებ

**სს "სამედიცინო კორპორაცია ევექსი" რომელიც აერთიანებს 78 კლინიკას საქართველოს მაშტაბით 6 რეგიონში აცხადებს ტენდერს სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო სახარჯი მასალის ცენტრალიზებულად შესყიდვაზე.**

**სამკურნალწამლო საშუალებებისა და სამედიცინო სახარჯი მასალის ჩამონათვალი მოწვევას თან ახლავს ელექტრონული ვერსიის სახით.**

შესყიდვაში მონაწილეობის მიღების მიზნით, პრეტენდენტმა შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი, სატენდერო წინადადება უნდა წარადგინოს ელექტრონულად მეილის სახით შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე Evex_Medical_Procurements@evex.ge არაუგვიანეს 2018 წლის 18 ივნისის 18 საათისა,

**აუცილებელი მოთხოვნაა:**

- შემოთავაზებული მედიკამენტის ვარგისიანობის ვადა მოწოდების დღისთვის არ უნდა იყოს ნაკლები ამ პროდუქტის სრული ვარგისიანობის ვადის 60 %-სა.

- გამარჯვებულის გამოვლინების შემდეგ მომწოდებლის მიერ კონკრეტული დაკვეთით გათვალისწინებული მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს რეგიონალურ საწყობებში: ქ.თბილისში ნუცუბიძის ქუჩა 26ა და ქ. ქუთაისში ჯავახიშვილის 85ა მისამართზე შეკვეთის განხორციელებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი ) კალენდარული დღისა.

- შესაძლებლობის ფარგლებში, პროდუქციის მომარაგების უწყვეტი უზრუნველყოფა ტენდერის მოქმედების პერიოდში - 1 წლის განმავლობაში.

- ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება მოხდება წინამდებარე დოკუმენტზე თანდართული ხელშეკრულების ნიმუშის პირობების შესაბამისად.

გამარჯვებულის გამოვლენისას პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება წინადადებაში მითითებულ ფასსა და პროდუქციის ხარისხს, გენერიული დასახელების შესაბამისი, შემოთავაზებული თითოეული მედიკამენტი და სამედიცინო სახარჯი მასალის სახეობა განიხილება ინდივიდუალურად.

წარმოდგენილ წინადადებაში, გთხოვთ, მიუთითოთ თქვენს მიერ შემოთავაზებული მედიკამენტის და სახარჯი მასალების დასახელება, ფორმა, დოზა, ერთეულის ფასი, მწარმოებელი კომპანია, აქტიური სუბსტანციის მწარმოებელი და მედიკამენტის და სახარჯი მასალის შეფუთვის ქვეყანა. აუცილებლად მიუთითეთ კომენტარის ველში, თუ შემოთავაზებული პრეპარატის ფორმა დოზა არ ემთხვევა ტენდერით მოთხოვნას.

**საკონტაქტო პირები:**

ჰოსპიტალური სამედიცინო შესყიდვის განყოფილების უფროსი თამარ შაგიძე **597 10 17 90**
ელ. ფოსტა: t.shagidze@evex.ge

მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების შესყიდვების ჯგუფის ხელმძღვანელი თეონა ჭიჭინაძე **599 56 48 41** ელ. ფოსტა: teonachichinadze@evex.ge

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე ირაკლი გოგია